# საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის

## ბრძანება №43/ნ

**2020 წლის 24 მარტი**

**ქ. თბილისი**

**„მოსწავლის პირადი საქმის ფორმისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის პირადი საქმის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 22 აგვისტოს №113/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2018 წლის 5 ივლისის კანონის (დოკუმენტის ნომერი: 3024-რს) მე-2 მუხლის პირველი და მე-8 პუნქტების საფუძველზე, **ვბრძანებ**:

**მუხლი 1**

შეტანილ იქნეს ცვლილება „მოსწავლის პირადი საქმის ფორმისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის პირადი საქმის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 22 აგვისტოს N113/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 27/08/2013, სარეგისტრაციო კოდი: 430210000.22.022.016633) და ბრძანების მე-2 მუხლით დამტკიცებული „მოსწავლის პირადი საქმის წარმოების წესის“ (დანართი 2) მე-6 მუხლის:

ა) პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მოსწავლის პირადი საქმის დედნის გატანა, გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, დასაშვებია მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით მოსწავლის მობილობისას, მიმღები სკოლიდან წერილობითი მოთხოვნის წარმოდგენის შემთხვევაში. გასაგზავნად გამზადებული მოსწავლის პირადი საქმე თავსდება კონვერტში, ფორმდება საფოსტო გზავნილად და მიმღებ სკოლას ეგზავნება დალუქულ მდგომარეობაში.

2. დაუშვებელია, მოსწავლის პირადი საქმის მოსწავლისათვის, მოსწავლის მშობლის, მეურვის, მზრუნველის, კანონიერი წარმომადგენლისათვის ან სხვა პირისათვის გადაცემა ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა.“;

ბ) მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

„5. სკოლა ვალდებულია მოსწავლის პირადი საქმის დედანი გადასცეს სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს – შესაბამის საგანმანათლებლო რესურსცენტრს იმ შემთხვევაში, თუ სკოლას უარი ეთქვა ავტორიზაციაზე, გაუუქმდა ავტორიზაცია, ან გავიდა ავტორიზაციის ვადა და არ ჰყავს უფლებამონაცვლე და მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ათი სამუშაო დღის ვადაში არ მიმართავს სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მობილობის მოთხოვნით.“.

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს განათლების,**
**მეცნიერების, კულტურისა და**
**სპორტის მინისტრი** — **მიხეილ ჩხენკელი**